

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N4

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

02.03.2020 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, თამთა დვალიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები. კობა ტოხვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, ბიჭიკო პაიკიძე, გია ხარაბაძე, რობიზონ ფუტკარაძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

**მოწვეული პირი:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ბესარიონ ახვლედიანი**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

### **დღის წესრიგი**

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N65 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მამუკა ნამიჭიშვილი

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბესარიონ ახვლედიანი

3. ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მამუკა ნამიჭიშვილი

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) ს/ს „სილქნეტი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ზვიადი კაპანაძე

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -28

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### **მოისმინეს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა მამუკა ნამიჭიშვილმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N65 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დებულებაში შეტანალი იქნას შემდეგი ცვლილებები:

ამოღებული იქნას დანართის მე-2 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და დანართის „მუხლი 7“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით. „მუხლი 7. ინფრასტრუქტურის განყოფილება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – 4

**გადაწყვეტის:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N65 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

(დადგენილება N 7)

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ბესარიონ ახვლედიანმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დებულებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები. „მუხლი 2“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: სამსახური შედგება სამსახურის უფროსის და სტრუქტურული ქვედანაყოფების -განყოფილებებისგან.

ა) უნებართვო საქმიანობის და მოსაკრებლების კონტროლის განყოფილება.

ბ) არქიტექტურულ და სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილება.

ასევე შევიდა ცვლილება დანართის მე-8 მუხლში „უნებართვო საქმიანობის და მოსაკრებლების კონტროლის განყოფილების ფუნქციები“-ში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – 4

**გადაწყვეტის:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

(დადგენილება N 8)

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა მამუკა ნამიჭიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა თემში ხდება შეხვედრა მოსახლეობასთან შერჩეული პროექტების განხილვის მიზნით. ციხისუბანში ამ პროექტით გათვალისწინებულია საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. მოსახლეობამ მოითხოვა, რომ თუ შეუძენდა გამგეობა ბეტონის საფარისათვის საჭირო მასალებს, თავიანთი ძალებით გააკეთებდნენ გზას. ამით დაიზოგებოდა თანხები და გზის საფარი გაკეთდება გათვალისწინებულ მეტრზე მეტი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – 4

**გადაწყვეტის:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ.“

(განკარგულება N 27 4)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) ს/ს „სილქნეტი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომპანია „სილქნეტს“ იჯარით პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით, ორი წლის ვადით გადაეცემა თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 5 ერთეული გარე განათების ბოძი, რაზეც საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – 4

**გადაწყვეტის:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) ს/ს „სილქნეტი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

(განკარგულება N 27 5)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე